ხელშეკრულება № 59
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 2023 წ.

ერთის მხრივ, **გორის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მერის ვლადიმერ ხინჩეგაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „სტრონგ ვოში“ ს/კ 404593016** (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის შოთა მეტრეველის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1.ხელშეკრულების საგანი

1.2.ხელშეკრულების საგანია: **გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია (CPV 39800000) შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.**

2. შესყიდვის ობიექტი:

2.1. შესყიდვის ობიექტია:. CPV 39831250 - სარეცხი/სავლები ხსნარი ქაფი) – FORMULA X 10;

3.შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და საერთო ღირებულება.

3.1შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა არის 2 (ორი) ცალი;

3.3 ერთეულის ღირებულება არის **240 (ორას ორმოცი) ლარი;**

3.5შესყიდვის ობიექტის სართო ღირებულება არის **480 (ოთხას ოთხმოცი) ლარი;**

3.6მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 აღნიშნულ საქონელზე გარანტია რა მოითხოვება;

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 5 (ხუთი) სამუშაი დღის ვადაში.

5.2შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. გორი გრ. ფერაძის №5

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

7.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3.**ანგარიშსწორება განხორციელდება** მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს **10** სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1.შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2.შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.3.შემსყიდველი ვალდებულია:

დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

8.4.მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.5.მიმწოდებელი ვალდებულია:
დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან
გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან
გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით
განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის
გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე
შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება
გაფრთხილება.
9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა
მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების
ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს
დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე
ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2 % ის ოდენობით.
9.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან
ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს მოეთხოვება
მიყენებული ზიანის პროპორციული ოდენობის ფარგლებში ზიანის ანაზღაურება,
მაგრამ არანაკლებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ისა.

10.ხელშეკრულების მოქმედების ვადა
10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.**

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
11.1.შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად
განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით
გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
11.მომსახურების შესყიდვის ინსპექტირებას, მიღება/ჩაბარებას, შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს –
გორის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური და შრომის უსაფრთხოების განყოფილების ხელმძღვანელი – გიორგი ჭონიშვილი.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
12.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების
შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები
შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით
გათვალისწინებული შემთხვევებისა.
ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.ფორს-მაჟორი
13.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ
შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა,
ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო
ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს
შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
13.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე
მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
14.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა
შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2.იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ
შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო
მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს
მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3.შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ
შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1.ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები,მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
17.2 მესამე პირთანურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **PDF** ფაილის სახით და ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
_____	_____
გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „სტრონგ ვოში“
ს/კ 218086087	ს/კ: 404593016
მის: ქ. გორი, გრ. ფერაძის #5	მის: ქ. თბილისი, ერისთავის ქ. 1
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: „საქართველოს ბანკი“
კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/№ 300843460	ა/ა GE70BG0000000533445521
გორის მუნიციპალიტეტის მერი	შპს „სტრონგ ვოში“-ს დირექტორი
_____	_____
ვლადიმერ ხინჩეგაშვილი	შოთა მეტრეველი

Gori Municipality
Digitally signed by Gori Municipality
Date: 2023.06.26 15:06:50 +04'00'

Shota Metreveli 01019057682
Digitally signed by Shota Metreveli
Date: 2023.06.23 13:17:43

გორის მუნიციპალიტეტის მერია

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

მიმწოდებელი: შპს „სტრონგ ვოში“ ს/კ 404593016

ხელშეკრულება: N-59

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების“ მე-8 მუხლის ,,ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“ შესაბამისად ვადასტურებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

გორის მუნიციპალიტეტის მერი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი**